

პერსონალის წახალისების მეთოდები საქართველოს ბაზარზე მოქმედ  
კომპანიებში და მათი გავლენა პროდუქტიულობაზე

უბილავა მარიამ  
ცომაია დავით  
პიგვაშვილი მარიამ

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ბიზნესის სკოლაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების  
შესაბამისად*

სამაგისტრო ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფიო ლებანიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ უბილავა

დავით ცომაია

მარიამ ძიგვაშვილი

23.06.2019

## აბსტრაქტი

თანამედროვე ეპოქაში კომპანიების წარმატება მნიშვნელოვნადაა განპირობებული ადამიანური რესურსით. ადამიანური რესურსების მართვა რთული პროცესია, ვინაიდან ორგანიზაციული მიზნის მისაღწევად აუცილებელია სხვადასხვა მახასიათებლების მქონე ადამიანების კოორდინირება.

ადამიანური რესურსების მართვის სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია დასაქმებულთა მოტივირებაა. ნებისმიერი კომპანიისთვის მნიშვნელოვანია, რომ მისი თანამშრომლები იყვნენ საკმარისად მოტივირებულნი, რაც განაპირობებს მათ პროდუქტიულობას.

მოტივაცია კომპლექსური საკითხია - ინდივიდი იშვიათად მოქმედებს მხოლოდ ერთი მოტივის გავლენით, რადგან მას მრავალგვარი მოთხოვნილებები და სურვილები ამოძრავებს.

წინამდებარე ნაშრომი შეეხება საქართველოს ბაზარზე მოქმედ კომპანიებში გამოყენებულ წახალისების მეთოდებს და მათ გავლენას პროდუქტიულობაზე.

ნაშრომი იკვლევს ორ ძირითად საკითხს: რა მეთოდებს იყენებენ საქართველოს ბაზარზე მოქმედი კომპანიები თანამშრომელთა მოტივირებისთვის და როგორ აფასებენ თანამშრომლები კომპანიაში დანერგილ წახალისების სისტემას ეფექტურობის, სამართლიანობის და მთლიანი კმაყოფილების დონის მიხედვით.

საკვლევი საკითხიდან და მიზნებიდან გამომდინარე კვლევა ჩატარდა ელექტრონული გამოკითხვის ფორმატით, რისთვისაც წინასწარ მოხდა შესაბამისი სტრუქტურირებული კითხვარის შემუშავება. კითხვარი წარმოდგენილი იყო Google Forms-ის ფორმატით და რესპოდენტებს შორის გავრცელდა სოციალური ქსელის, Facebook-ის მეშვეობით.

მიღებული შედეგების საფუძველზე მოხდა საწყისი ჰიპოთეზის - საქართველოს ბაზარზე მოქმედ კომპანიებში იგრძნობა წახალისების მეთოდების სიმწირე, რაც უარყოფითად მოქმედებს თანამშრომელთა პროდუქტიულობის მაჩვენებელზე - უარყოფა.

როგორც შედეგებმა აჩვენა, საქართველოს ბაზარზე მოქმედ კომპანიებში გამოიყენება წახალისების მატერიალური, არამატერიალური და სამუშაოს შინაარსთან დაკავშირებული მეთოდები. რესპოდენტების მიერ დადებითადაა შეფასებული წახალისების სისტემით კმაყოფილების დონე, რასაც განაპირობებს კომპანიის ორიენტირებულობა თანამშრომელთა მოტივირებაზე, შერჩეული მეთოდების ეფექტურობა და სამართლიანობა. აღნიშნულს ამყარებს ის ფაქტი, რომ მოსაზრება, რომლის თანახმადაც ანაზღაურება შრომის ერთადერთი სტიმულია, მოძველებულია. თანამედროვე ეპოქაში ადამიანებისთვის სამსახური წარმოადგენს არამხოლოდ შემოსავლის წყაროს, არამედ საკუთარი თავის რეალიზების ფართო ასპარეზს.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში მოცემულია რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებითაც შესაძლებელი იქნება თანამშრომელთა შორის მოტივირებულობის დონის ამაღლება და მისი სასურველ ნიშნულზე შენარჩუნება.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** ადამიანური რესურსი, ადამიანური რესურსების მართვა, მოტივაცია.

## Abstract

Success of the companies in the modern era is highly determined by human resources. Human resource management is a difficult process, because it is necessary to coordinate people with different characteristics to achieve organizational goals.

One of the most important functions of human resource management is to motivate employees. It is important for any company that its employees were sufficiently motivated, which contributes to their productivity.

Motivation is a complex issue – the person is rarely acting influenced by only one motive, because he/she has variety of needs and desires.

The following Master's degree thesis applies to the methods of motivation programmes used by companies operating in the Georgian market and their impact on productivity.

The work examines two main issues: Which methods do the companies operating in the Georgian market to motivate their employees use and how do the employees evaluate motivation system in their company foreseeing efficiency, fairness and overall satisfaction level use.

Based on the research goals and objectives of the study, the survey was conducted in the form of electronic survey, for which structured questionnaire was prepared. The questionnaire was presented in the format of Google Forms and was spread out among the respondents through social network, Facebook.

Based on the research results, the initial hypothesis - In the companies operating on the Georgian market, there is a lack of incentive methods, which negatively affects the productivity of employees – was rejected.

As the results showed, the companies, which operate on the Georgian market, use the following methods of encouragement: material, non-material and work-content methods. Respondents positively assessed the level of satisfaction with the encouragement system; this is determined by the company's orientation towards motivating staff, efficiency and fairness of selected methods. The fact is that the opinion, under which the remuneration is the only

stimulus of labor, is outdated. In modern times, the job is not only a source of income, but also a wide range of self-realization.

In the final part of the thesis, there are recommendations that will enable increase the level of motivation among employees and maintained at its desired level.

**Key Words:** human resource, human resources management, motivation.